



## რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის სულიერი ლიდერების სამხრევი შეხვედრა გაიმართა



2021 წლის 13 ოქტომბერს მოსკოვის დანილოვოს სტავროპიგიალური მონასტრის საპატრიარქო და სინოდალურ რეზიდენციაში მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უნმინდესი პატრიარქის კირილეს, კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს თავმჯდომარის შეიხ-ულ-ისლამ ალაჰ შუქურ ფაშა ზადესა და ყოველთა სომეხთა უმაღლესი პატრიარქისა და კათოლიკოსის გარეგინ II შეხვედრა გაიმართა. სომხეთისა და აზერბაიჯანის რელიგიური ლიდერები რუსეთის დედაქალაქში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვრის მიწვევით ჩავიდნენ – სამხრეთ კავკასიაში მრავალწლიანი კონფლიქტის შედეგების დარეგულირების გზებზე სამსჯელოდ.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციაში შედიოდნენ: მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ილარიონი; სსკგ-ს თავმჯდომარის მოადგილე არქიმანდრიტი ფილარეტი (ბულეკოვი); ეკლესიის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თავმჯდომარე, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის პრეს-სამსახურის უფროსის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი ვ.რ. ლეგოიდა; სსკგ-ს რელიგიათაშორისი ურთიერთობების მდივანი მღვდელი დიმიტრი საფონოვი; სსკგ-ს რელიგიათაშორისი

ურთიერთობების სამდივნოს თანამშრომელი დიაკონი ილია კაშიცინი.

სომხური სამოციქულო ეკლესიის დელეგაციის წევრებს შორის არიან: საგარეო ურთიერთობებისა და პროტოკოლის განყოფილების გამგე, მთავარეპისკოპოსი ნათანი (ოგანესიანი); ნოვო-ნახიჩევანისა და რუსეთის ეპარქიის მეთაური, რუსეთში საპატრიარქო ეგზარქოსი მთავარეპისკოპოსი ეზრასი (ნერსისიანი); არცახის ეპარქიის მეთაური ეპისკოპოსი ვართანი (აბრაამიანი); საგარეო საეკლესიო ურთიერთობების განყოფილების გამგე და წმინდა გიორგის სასულიერო აკადემიის რექტორი, პროტოარქიმანდრიტი შაგე (ანანიანი); უმაღლესი სასულიერო საბჭოს წევრი დოქტორი გევორგ დანიელიანი; უწმინდესი გარეგინის მდივანი დეკანოზი ბაგრამი (მელიქიანი).

კავკასიის მუსულმანთა სამმართველოს დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: კმს-ს (კავკასიის მუსულმანთა სამმართველო) თავმჯდომარის პირველი მოადგილე მუფთი სალმან მუსაევი, კმს-ს თავმჯდომარის მოადგილე რაშად ალიარლი, კმს-ს თავმჯდომარის მოადგილე ფუად ნურულაევი, კმს-ს პროტოკოლის განყოფილების უფროსი რუფატ გასანოვი, კმს-ს განყოფილების უფროსი ზულფუგარ ფარზულაევი.

უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ ყოველთა სომეხთა კათალიკოსსა და კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს თავმჯდომარეს მოსკოვში ჩასვლისა და მოლაპარაკებების მაგიდასთან დასხდომის მზაობისთვის მადლობა გადაუხადა. „ამით, ჩვენ ჩვენი რელიგიების ჭეშმარიტად სამშვიდობო პოტენციალს ვამონებთ“, – აღნიშნა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა.

„ჩვენ აქ შევიკრიბეთ, რათა მრავალწლიანი, სამწუხარო კონფლიქტის შედეგების გადასალახი პრობლემა განვიხილოთ <...>, რომელშიც აზერბაიჯანისა და სომხეთის ხალხებია ჩართული, – განაგრძო უწმინდესმა მუხამედის მონანილეებისადმი მიმართვისას. – თითქმის 30 წელია ჩვენ, რელიგიური ადამიანები, რომლებიც პასუხისმგებელი ვართ ჩვენს სამრევლოებზე, ვშრომობთ იმისთვის, რომ ეს ტრაგიკული დაპირისპირება შევამსუბუქოთ. ჩვენ ღმერთისგან მოწოდებულნი ვართ სიყვარულისა და მონყალების საქადაგებლად, მაშინაც კი, როდესაც ეს რთულად შესასრულებელი გვეჩვენება“.

როგორც პატრიარქმა კირილემ აღნიშნა, ცხოვრების სულიერი სფერო – ადამიანის არსებობის ყველაზე მგრძობიარე სფეროა. მაგრამ, სამწუხაროდ, არიან ადამიანები, რომლებიც რელიგიით ძალადობას, სისასტიკეს და სისხლისღვრას ამართლებენ.

„ჩვენ მოწოდებულნი ვართ ერთმნიშვნელოვანი ერთობლივი პასუხი გავცეთ რელიგიის ომთან დაკავშირების მცდელობებს. რელიგიური ომები – ეს არის საშინელი, ცოდვილი ფურცელი კაცობრიობის მოდემის რელიგიურ ისტორიაში. ამ საუკუნეში, მე ვფიქრობ, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ „რელიგიის“ და „ომის“ გაგება ერთ კინტექსტში არ გაერთიანდეს“, – აღნიშნა უწმინდესმა პატრიარქმა.

მისმა უნმინდესობამ მოწოდება გააკეთა, რომ ახალგაზრდებთან მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს.

„ჩვენ პასუხისმგებლები ვართ ახალგაზრდა თაობის მომავლისთვის“, – განაცხადა პატრიარქმა კირილემ. – თუ დღეს ჩვენ ჩუმი ვადევნებთ თვალყურს იმას, როგორ მტკიცდება ახალგაზრდებში გაუცხოება, ურთიერთმიმართული პრეტენზიები და სიძულვილიც კი, მაშინ ხვალ ეს სარეველები ფესვებს გაიდგამს და აღმონაცენს მოგვცემს, რომლის ამოძირკვაც შემდეგ ძალიან ძნელი იქნება. ის ძლიერ მცენარეებად განვითარდება, რომლებსაც სულიერი ნიადაგის ნაყოფიერების განადგურება და გარემოსთვის ზიანის მიყენება შეუძლიათ. უპირველეს ყოვლისა, მე მხედველობაში მაქვს, რა თქმა უნდა, ადამიანის სულიერი ცხოვრების სფერო“.

უნმინდესმა მეუფემ დარწმუნებით განაცხადა, რომ „აზერბაიჯანისა და სომხეთის სულიერი ლიდერების ავტორიტეტს ადამიანების გონებაზე სასარგებლო გავლენის მოხდენა შეუძლიათ, და რომ თავად დღევანდელი შეხვედრის ფაქტი და თქვენ შორის დიალოგი ყველასთვის მაგალითი გახდება“.

„დაე ღმერთმა ჩვენი შრომა დალოცოს და ურთიერთგაგების პოვნაში დაგვეხმაროს, რაც უდავოდ, მყარი და ხანგრძლივი მშვიდობის მიღწევას განაპირობებს ძველ კავკასიურ მიწაზე, რომელი თქვენთვის ორივესთვის ახლობელი, ძვირფასი, და მშობლიური“, – აღნიშნა დასასრულს თქვა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა.

სულიერი ლიდერების სამმხრივი შეხვედრის შედეგების მიხედვით მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა კირილემ განაცხადება წაიკითხა, რომელშიც ხაზია გასმული დიალოგისა და საერთაშორისო სამშვიდობო ძალისხმევის აუცილებლობაზე კონფლიქტის დარეგულირების საქმეში, რომელსაც არ აქვს რელიგიური საფუძველი. „რელიგიური ლიდერები მზად არიან აზერბაიჯანისა და სომხეთის ხალხების შერიგებას ხელი შეუწყონ ახლანდელი და მომავალი თაობების სასიკეთოდ და ასაყვავებლად“ – ნათქვამია, კერძოდ, დოკუმენტში.

დასკვნის სახით, მისმა უნმინდესობამ აღნიშნა: „მსურს კიდევ ერთხელ გამოვხატო მადლიერება ჩემი ძვირფასი ძმებისადმი, რომლებიც სავსენი არიან პასუხისმგებლობით, ვაჟკაცობით, პრინციპულობით. ზუსტად ასეთი პოზიციებიდან გამოდიან ისინი ამ მოლაპარაკებებში და ცდილობენ მყარი და სამართლიანი მშვიდობა დაამყარონ საკუთარი ხალხისა და კავკასიაში მცხოვრები ყველა ხალხის საკეთილდღეოდ იმ ადგილებში, სადაც ჯერ კიდევ გარკვეული დაძაბულობაა შენარჩუნებული“.

\*\*\*

მთიანი ყარაბაღის პრობლემასთან დაკავშირებით მოსკოვის საპატრიარქოს სამშვიდობო ძალისხმევას 1988 წელს დაედო საფუძველი. სამი რელიგიური თემის მეთაურთა პირველი სამმხრივი სამშვიდობო

შეხვედრა 1993 წლის მაისში შედგა მოსკოვის დანილოვოს მონასტერში. რუსეთისა და ამიერკავკასიის რელიგიური ლიდერების წინა სამხრეთი შეხვედრა რელიგიათმორისი ფორუმების ფარგლებში ჩატარდა 2010 წელს ბაქოში და 2011 წელს ერევანში, ასევე 2017 წელს მოსკოვის დანილოვოს მონასტერში.

*სსკგ-ს კომუნიკაციის სამსახური/*

*ფოტო: მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის პრეს-სამსახური*

---

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/88241/>